



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-31.31213201

თარიღი:16/11/2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25

2021 წლის 16 ნოემბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში (ვებგვერდი 28.12.2020, სარ. კოდი:190020020.35.112.016437) და დადგენილების **1-ლი, მე-2, მე-3, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-13, მე-16, მე-19, 27-ე** მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

თავი I. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	19,523.7	24,603.3	12,285.2	12,318.0	20,865.0	12,451.8	8,413.1
გადასახადები	9,226.9	8,062.0	8,062.0	-	9,211.1	9,211.1	-
გრანტები	9,114.4	12,538.0	220.0	12,318.0	8,633.1	220.0	8,413.1
სხვა შემოსავლები	1,182.4	4,003.2	4,003.2	-	3,020.7	3,020.7	-

II. ხარჯები	10,498.7	11,365.3	10,043.5	1,321.9	13,044.8	12,084.7	960.0
შრომის ანაზღაურება	4,687.0	4,834.2	4,834.2	-	5,370.8	5,370.8	-
საქონელი და მომსახურება	4,503.3	4,270.0	3,978.6	291.4	5,633.0	5,253.3	379.8
პროცენტი	29.1	37.5	37.5	-	33.2	33.2	-
სუბსიდიები	398.5	443.1	443.1	-	572.4	572.4	-
სოციალური უზრუნველყოფა	586.0	576.1	576.1	-	578.5	578.5	-
სხვა ხარჯები	294.8	1,200.5	170.0	1,030.5	819.7	239.4	580.3
III. საოპერაციო საღდო	9,025.0	13,238.0	2,241.8	10,996.2	7,820.2	367.1	7,453.1
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,268.1	10,650.2	867.5	9,782.7	11,690.8	2,499.8	9,191.0
ზრდა	9,307.7	10,666.0	883.3	9,782.7	12,009.0	2,817.9	9,191.0
კლება	39.6	15.7	15.7	-	318.1	318.1	-
V. მთლიანი საღდო	- 243.1	2,587.8	1,374.3	1,213.5	- 3,870.6	- 2,132.7	- 1,738.0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 272.1	2,529.8	1,316.3	1,213.5	- 3,928.7	- 2,190.8	- 1,738.0
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-
კლება	272.1	- 2,529.8	- 1,316.3	- 1,213.5	3,928.7	2,190.8	1,738.0
ვალუტა და დეპოზიტები	272.1	- 2,529.8	- 1,316.3	- 1,213.5	3,928.7	2,190.8	1,738.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 29.0	- 58.0	- 58.0	-	- 58.1	- 58.1	-
კლება	29.0	58.0	58.0	-	58.1	58.1	-
საშინაო	29.0	58.0	58.0	-	58.1	58.1	-
სესხები	-	58.0	58.0	-	58.1	58.1	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	29.0	-	-	-	-	-	-
VIII. ბალანსი	0.0	- 0.0	- 0.0	-	- 0.0	- 0.0	- 0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	19,563.3	24,619.0	12,301.0	12,318.0	21,183.1	12,770.0	8,413.1
შემოსავლები	19,523.7	24,603.3	12,285.2	12,318.0	20,865.0	12,451.8	8,413.1
არაფინანსური აქტივების კლება	39.6	15.7	15.7	-	318.1	318.1	-
გადასახდებები	19,835.4	22,089.6	10,985.0	11,104.5	25,111.8	14,960.7	10,151.1
ხარჯები	10,498.7	11,365.6	10,043.7	1,321.9	13,044.8	12,084.7	960.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	9,307.7	10,666.0	883.3	9,782.7	12,009.0	2,817.9	9,191.0
ვალდებულებების კლება	29.0	58.0	58.0	-	58.1	58.1	-
ნაშთის ცვლილება	- 272.1	2,529.5	1,316.0	1,213.5	- 3,928.7	- 2,190.8	- 1,738.0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 20,865.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	19,523.7	24,603.3	12,285.2	12,318.0	20,865.0	12,451.8	8,413.1
გადასახადები	9,226.9	8,062.0	8,062.0	-	9,211.1	9,211.1	-
გრანტები	9,114.4	12,538.0	220.0	12,318.0	8,633.1	220.0	8,413.1
სხვა შემოსავლები	1,182.4	4,003.2	4,003.2		3,020.7	3,020.7	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 3,020.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1,182.4	4,003.2	3,020.7
შემოსავლები საკუთრებიდან	159.2	117.7	160.0
დივიდენდები		10.2	
რენტა	159.2	107.5	160.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	100.1	26.2	73.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	48.9	15.3	23.0
სახებართვო მოსაკრებელი	20.7	5.9	10.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი		0.2	
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	17.2	0.1	
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	11.0	9.1	13.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	51.2	10.9	50.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	834.9	3,669.9	2,747.7
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა			
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	88.1	189.5	40.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 13,044.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	10,498.7	11,365.3	10,043.5	1,321.9	13,044.8	12,084.7	960.0

შრომის ანაზღაურება	4,687.0	4,834.2	4,834.2	-	5,370.8	5,370.8	-
საქონელი და მომსახურება	4,503.3	4,270.0	3,978.6	291.4	5,633.0	5,253.3	379.8
პროცენტები	29.1	37.5	37.5	-	33.2	33.2	-
სუბსიდიები	398.5	443.1	443.1	-	572.4	572.4	-
სოციალური უზრუნველყოფა	586.0	576.1	576.1	-	578.5	578.5	-
სხვა ხარჯები	294.8	1,200.5	170.0	1,030.5	819.7	239.4	580.3

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 11,690.9 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 12,009.0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 318.1 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	59.4	136.3	78.1
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	59.4	136.3	78.1
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6,833.1	8,922.5	11,218.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3,335.4	5,653.0	8,704.2
02 02	წყლის სისტემების განვითარება	840.9	624.9	336.6
02 03	გარე განათება	-	120.4	214.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	82.3	-	85.4
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	0.6	3.0	128.2
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	-	-	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	403.1	519.7	757.7
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,430.9	1,261.6	243.9
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	740.0	739.9	748.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2.8	2.0	12.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2.8	2.0	12.0
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	-	-
04 00	განათლება	532.4	821.3	481.2
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	62.2	114.5	154.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.4	-	327.2
04 03	საბაზო ზოგადი განათლება	469.8	706.8	
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,709.9	782.2	214.4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,689.5	756.1	141.4
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	20.4	26.0	73.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	170.0	1.6	5.2
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	170.0	1.6	5.2
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	9,307.7	10,666.0	12,009.0

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა

არაფინანსური აქტივების კლება	39.6	15.7	318.1
ძირითადი აქტივები	1.0	-	80.0
არაწარმოებული აქტივები	38.6	15.7	238.1
მიწა	38.6	15.7	238.1

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,820.3	2,980.8	3,484.7
7.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,791.2	2,943.4	3,414.3
7.1.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,789.4	2,902.9	3,344.3
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	1.8	40.5	70.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	29.1	37.5	70.4
7.2	თავდაცვა	127.8	128.3	143.3
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	127.8	128.3	143.3
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	3,455.0	5,736.4	8,996.6
7.4.5	ტრანსპორტი	3,455.0	5,736.4	8,996.6
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,433.4	5,715.9	8,971.0
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	21.5	20.5	25.6
7.5	გარემოს დაცვა	1,026.5	1,252.9	1,521.4
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1,026.5	1,252.9	1,521.4
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4,088.9	4,905.3	3,936.6
7.6.1	ბინათმშენებლობა	192.6	1,067.5	701.9
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	-	-	-
7.6.3	წყალმომარაგება	883.6	693.4	430.1
7.6.4	გარე განათება	319.8	463.2	731.0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	2,692.9	2,681.1	2,073.6
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	307.5	146.3	170.5
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	307.5	146.3	170.5
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	3,896.1	2,969.6	2,691.2
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2,742.3	1,809.0	1,351.1
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,113.8	1,125.6	1,270.1
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	40.0	35.0	70.0
7.9	განათლება	3,453.0	3,255.1	3,430.4
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	2,457.0	2,235.3	2,700.0
7.9.2	ზოგადი განათლება	996.0	1,019.7	730.4
7.9.2.2	საბაზო ზოგადი განათლება	996.0	1,019.7	730.4
7.10	სოციალური დაცვა	631.4	656.8	679.0
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	90.0	92.0	140.0
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1.5	2.0	3.0

7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	40.0	52.5	92.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	36.0	37.2	42.2
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	463.9	473.1	401.8
	სულ	19,806.4	22,031.6	25,053.7

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -3,870.6 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 7,820.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	9,025.0	13,238.0	7,820.2
მთლიანი სალდო	- 243.1	2,587.8	- 3,870.6

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 12,913.2 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	12,913.2	6,000.8	6,193.8	6,381.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურა	8,971.0	4,028.8	4,128.8	4,228.8
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	8,704.2	3,900.0	4,000.0	4,100.0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	235.5	100.0	100.0	100.0
02 01 03	საგზაონიშნები და უსაფრთხოება	31.3	28.8	28.8	28.8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	430.1	340.0	351.0	362.0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	336.6	270.0	280.0	290.0
02 02 02	წყლის სისტემის ექსპლოატაცია	93.5	70	71	72
02 03	გარე განათება	731.0	540.0	560.0	580.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	517.0	410	420	430
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	214.0	130	140	150
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	701.9	175.0	180.0	185.0

02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	80.4			
02 04 02	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	621.5	175	180	185
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	286.7	181.0	187.0	187.5
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	123.2	40.0	45.0	45.0
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	30.0	20.0	20.0	20.0
02 06 04	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	20.0	6	7	7.5
02 06 05	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	113.5	115	115	115
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	25.6	26	27	27.8
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	775.0	650.0	700.0	750.0
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	243.9	235.0	240.0	245.0
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	748.0	748	748	748

ათას ლარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		8704,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური		
	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების და ხიდების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია პროექტები რომელთა განხორციელება დაწყებულია 2020 წელს და დასრულდება 2021 წელში:</p> <ul style="list-style-type: none"> - ქ. ლანჩხუთში საფეხმავლო ბილიკების და ბილიკების გარე განათების მოწყობა. ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1870 გრძ/მ, შეკეთებული გზით ისარგებლებს 7000 ბენეფიციარი; - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.- 4700 გრძ/მ, შეკეთებული გზით ისარგებლებს 3000 ბენეფიციარი; <p>ღრმაღელე-ორმეთის გზის რეაბილიტაცია</p> <p>ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში , ყვავილნარში გზის რეაბილიტაცია</p>		

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ასევე განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების რეაბილიტაცია ნიგოთის, ჩოჩხატის, გულიანის, მანხვარეთის, აცანის, სუფსის, ღრმაღელის, აკეტის და ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ასევე 11/03/2021 წლის N330 განკარგულებით ჩიბათი, ნინოშვილი, ჯურუყვეთის გზის რეაბილიტაცია</p> <p>ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმდებარე გზის რეაბილიტაცია და თამარ მეფის ქუჩის ორმოვანი შეკეთება, ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების რეაბილიტაცია სოფ აკეთში და ჩოჩხატში, სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების რეაბილიტაცია სოფ ორაგვისდელეში, ქვიანში, ლესასა და ჩოჩხატში. რეაბილიტაცია ჩაუტარდება კვირკველიას ქუჩაზე სანიაღვრე არხს.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფ ქვიანში, მოედანში ბალღეფში სახიდე გადასასვლელების მოწყობა და სოფ. გრიგოლეთში წყლის გამტარი არხის (კოლექტორის) მოწყობა.</p> <p>გარდა აღნიშნული პროექტებისა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დამატებითი სახსრებით, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p>
<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;</p>

ათას ლარში

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 02 01 02</p>	<p>გზების მიმდინარე შეკეთება</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში 235,5</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (ე.წ. ორმოული შეკეთება); არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშანდაკებას; ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდას და სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ასევე, გზის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდება საჭიროების შესაბამისად</p>		
<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>ქ. ლანჩხუთში, ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება (ორმოული სამუშაოები, მოხრეშვა). შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას. 2021 წელს რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი ქალაქ ლანჩხუთის და სოფლების მოსახლეები.</p>		

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 02 02</p>	<p>წყლის სისტემის განვითარება</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში 430,1</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი</p>		

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას.</p> <p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ლანჩხუთში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერებიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედგება 1 ქვეპროგრამისაგან - წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p>
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი;</p> <p>მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა წყალზე;</p> <p>წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		336,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. ქვეპროგრამისათვის შესაძლებელია ასევე გამოიყოს თანხები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებიდან. 2020-21 წლისათვის დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:</p> <ul style="list-style-type: none"> - გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია. წყალსადენის რეაბილიტაცია - ბენეფიციარი 1030 ოჯახი; ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდება სუფსის, ლესის, შუხუთის და მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით. 		

მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი;</p> <p>მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე;</p>
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		93,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (გარდა ქ. ლანჩხუთისა) 5600 კომლის წყალმომარაგებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის შეუფერხებელ წყლის მიწოდებას.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება:</p> <ul style="list-style-type: none"> - დაზიანებული მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოები. - მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; - დაზიანებული ტუმბოების შეკეთება; 		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის წყლის შეუფერხებელი მიწოდება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		731
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
პროგრამის აღწერა	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 75%. გარე განათების სისტემა მოიცავს 1100-ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 8000-ზე მეტ სანათ წერტილს, 30000 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 230,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას.</p> <p>პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> - გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია; - კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში. <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას).</p> <p>ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლუატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი. 2021 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლუატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.</p>		
პროგრამის	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად,		

საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება, ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.
--------------------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		517,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება.</p> <p>დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 75%.</p> <p>(დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - ქსელის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა, შეკეთება. 		
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		214
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირების მიზნით სპეც ტექნიკის შეძენას, ასევე გარე განათების ქსელზე მიერთების ხარჯებს		
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		80,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების და ეზოების მოწესრიგებას, კერძოდ განხორციელდება ლესაში, აცანაში ადმინისტრაციული ეზოს შემოღობვა, ქალთა საფეხბურთო სკოლის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული ადმინისტრაციული შენობები და ეზოები		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 04		

	02	621,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არსებობს მრავალბინიანი შენობები რომლებიც საჭიროებენ რეაბილიტაციას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ლანჩხუთში არსებული დაზიანებული მრავალბინიანი სახლების სახურავების კაპიტალური შეკეთება-რეაბილიტაცია. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ლანჩხუთში ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.</p> <p>ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდება ებრალიძის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლის სადარბაზოს რეაბილიტაცია</p> <p>ასევე განხორციელდება სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხის ეკონომიით სოფ აცანაში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია</p> <p>ასევე განხორციელდება სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხებით სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია.</p> <p>ქ. ლანჩხუთში რეაბილიტირებული ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი დააკმაყოფილებს მოთხოვნებს. საერთო ჯამში რეაბილიტირებული სახლებით ისარგებლებს 250 ბენეფიციარი.</p> <p>ასევე განხორციელდება არასაცხოვრებელი სახლების ქსელზე მიერთებადა სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მშენებლობა</p>	
მოსალოდნელი შედეგი	<p>ქ. ლანჩხუთში რეაბილიტირებული ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი დააკმაყოფილებს მოთხოვნებს. საერთო ჯამში რეაბილიტირებული სახლებით ისარგებლებს 250 ბენეფიციარი.</p> <p>მოსახლეობის გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები და ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ მრავასართულიანი საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციის ვადა გაიზრდება.</p>	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 01		123,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლანჩხუთის ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალის მოწყობა. ასევე ღრმაღელის, ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში მემორიალის რეაბილიტაცია, გვიმბალაურის, შუხუთის, ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის რეაბილიტაცია		
მოსალოდნელი შედეგი	ახლად მოწყობილი სკვერით მოსახლეობისთვის გაჩნდება კომფორტული დასასვენებელი გარემო და მემორიალის მოწყობით პატივი მიეგება ტერიტორიული ბრძოლაში დაღუპულ გმირებს		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 05		113,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. ლანჩხუთის ტერიტორიაზე არსებული 6 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: აგარაკი N1, აგარაკი N2, ლაშისღელის, მაჩხვარეთის, ქალაქის (ატევის), ორაგვის ღელის სასაფლაოების მოვლითი ღონისძიებები 10800 კვ/მეტრს ფართზე..		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	- დაზიანებული ღობის შეკეთება, შეღებვას; ქვეპროგრამა ფარგლებში ასევე ხორციელდება ქალაქის ლანჩხუთში სკვერებისა და პარკების დაცვა მოთარეშე პირუტყვისაგან. - ასევე ხორციელდება სკვერებისა და პარკების როგორც შეწამვლითი და გაცეცხვითი სამუშაოები.
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი სასაფლაოები, სკვერები და პარკები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		25,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით არის გაცემული სამარშუტო ხაზები, რომელზეც ქ.ლანჩხუთიდან სოფლების მიმართულებით ხორციელდება ტრანსპორტით გადაადგილება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტრანსპორტით შეუფერხებელი გადაადგილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 08		775
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტით გრიგოლეთის განვითარების გეგმის შედგენა, სამუშაო დაწყებულია 2020 წელს და დასრულდება 2021 წელს.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 09		243,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის აუცილებლობა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული ნაპირსამაგრების რეაბილიტაცია და ახალი ნაპირსამაგრების მოწყობა. განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტით შუხუთში გაბიონის მოწყობის სამუშაოები.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების მოწყობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ სუფსის, ჩოჩხათის, ნიგვზიანის, მანჩვარეთის, ქალაქის, გვიმბალაურის ლესის, ჩიბათის, ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში ნაპირსამაგრის მოწყობა ნიგვზიანის, სუფსის, ღრმაღელის, ნინოშვილის, ჯურუყვეთის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწყობილი ნაპირსამაგრები დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. სამუშაოები დაიწყო 2020 წელს და დასრულდება 2021წელს. 2021 წელს ნაპირსამაგრიტ ისარგებლებს 420 მოსახლეს.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	02 10		748,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც განხილული და შეჯერებული იქნება თვით მოსახლეობასთან		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში მიიღწევა ყველა ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2,691.2 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,691.2	2,360.0	2,383.0	2,429.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,351.1	1,083.0	1,105.0	1,138.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,279.2	1,060.0	1,080.0	1,110.0
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	572.5	520.0	525.0	530.0
05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	185.0	165.0	165.0	170.0
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	154.0	135.0	145.0	155.0
05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	292.7	240.0	245.0	255.0
05 01 01	საფეხბურთო კლუბის	75.0			

სს	ხელშეწყობა				
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	33.5	23.0	25.0	28.0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	38.4			
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,328.1	1,265.0	1,265.0	1,276.0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,199.2	1,200.0	1,200.0	1,210.0
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	875.0	870.0	870.0	880.0
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	324.2	330.0	330.0	330.0
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	24.0	25.0	25.0	26.0
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	34.9			
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	70.0	40.0	40.0	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	12.0	12.0	13.0	15.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		572,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია 5-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური განვითარებასპორტული ცენტრი აერთიანებს 11 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა (28 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (20 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (35 ბავშვი); რაგბი (45 ბავშვი); ცურვა (36 ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (24 ბავშვი); კარატე (60 ბავშვი); ჭადრაკი (37 ბავშვი); კალათბურთი (40 ბავშვი) და გოგონათა ფეხბურთი (25 ბავშვი) და სპორტული ტანვარჯიში (20 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 370 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 5-ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 75 ადამიანი, მათ შორის, 30 ტექნიკური და 15 ადმინისტრაციული პერსონალი და 30 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. 		
მოსალოდნელი შედეგი	<p>სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გარღმავეება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტადიონის ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		185,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი			

ეგელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ შპს „ლანჩხუთს“, რომელიც შემდგომ ახორციელებს სტადიონის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება შპს-ს თანამშრომელთა ხელფასების, სტადიონის კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, ბიუჯეტთან ანგარიშწორებას(ქონების გადასახადი) და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელ ხარჯების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში ლანჩხუთის საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი მატჩებისათვის
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალთა სპორტის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 04		154,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ლანჩხუთის ქალთა საფეხბურთო კლუბის „ლანჩხუთის ლანჩხუთი“-ს დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალიურ შპს „ლანჩხუთის ლანჩხუთს“, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს და სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას და შპს-ს ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს. პროგრამის მიზანია ქალთა საფეხბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე		
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 05		292,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს ფეხბურთის 6 ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია და ვარჯიშობს 180 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სკოლაში დასაქმებულია ჯამში 42 ადამიანი, მათ შორის 35 ტექნიკური და 7 ადმინისტრაციული პერსონალი და 18 მწვრთნელი. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით. ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია ფეხბურთის ჯგუფებით სარგებლობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		33,5

